



სურათები: სპორტის სასახლის სარბიელი; მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი რ. დმიტრიევი; ამერიკელი ჯ. მილსისა (52 კგ) და ირანელი მ. ბაზმოვარის შეხვედრის მომენტი.
ა. კატორაშვილის ფოტოები.

პროლეტარებო ყველა კვაყნისა, შეერთდით!

ლელო

საპარტველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 18 26 1980 წ. იანვარი, შაბათი. ზანი 8 კაპ.

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов



ტიტულებით და მათ გარეშე

თბილისის XIX საერთაშორისო ჯარნირი თაჟინსუალ ჟილაოგაჟი

სპორტის სასახლის ფოიე. ვის არ შეხვედრებოდა — ჰიდაობის ცნობილ სპეციალისტებს, საქვეყნოდ აღიარებულ ფილაგენებს, გულშემატკივრებს. ბუნებრივია, საბჭოთა კავშირის ნაკრების ხელმძღვანელებსაც „სრული შემადგენლობით“ ჩამოვიდა თბილისში.

ეს ტურნირი ერთ-ერთი მთავარი შეჯიბრება მოსკოვის ოლიმპიადის წინ, — ამბობს ქვეყნის ნაკრების უფროსი მწვრთნელი იური შახმურადოვი, — ოლიმპიური გუნდის თითქმის ყველა კანდიდატი გამოვა ხალიჩაზე. რა თქმა უნდა, ახლა ძნელი სათქმელია ვის მივანდობთ მოსკოვში ქვეყნის ღირსების დაცვას, თუმცა აქ, ამ შეჯიბრებაზე ბევრი რამ გაირკვევა. ჩვენ, ნაკრების მწვრთნელებს სხვა საზრუნავიც გვაქვს — დაგვიხრთ პოტენციური მეტოქეთა შესაძლებლობები, მათი მომზადების დონე ამ ეტაპზე. მე გადავხედე გუნდების განაცხადებს და შემიძლია ვთქვა, რომ საკმაოდ ძლიერი მოქიდავეები ჩამოვიყვანე ამერიკელებმა, ბულგარელებმა, რუმინელებმა. პოლონელთა ნაკრებიც არ უნდა იყოს ურიგო. ყველაზე ზუსტ პასუხს, რასაკვირველია, თვით ასპარეზობა გაგვიცხადებს.

მაშ ასე, თბილისის სპორტის სასახლე მეცხრამეტედ მასპინძლობს თავისუფალი სტილის მოქიდავითა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს. ამჯერად ხალიჩაზე გამოდის 11 ქვეყნის 150-ზე მეტი მოქიდავე, მათ შორის მრავლად არიან ტიტულოვანი სპორტსმენები — ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები. ერთი სიტყვით, ჰიდაობის გულშემატკივრები სამი დღის მანძილზე ბევრ საინტერესო ორთაბრძოლას იხილავენ.

გულში დილით გაიმართა პირველი წრის შეხვედრები. უმჩინებლად ფაგორიტებდა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი რ. დმიტრიევი და ს. კორნილაევი (ორივე — სსრკ) ითვლებიან. დმიტრიევა აშკარა უპირატესობით დაამარცხა ამერიკელი რ. ვილიევი, ხოლო კორნილაევი — ირანელი ა. ტეგრანი. თბილისელი ნ. ჯაფარივი ქულებით დაამარცხა ა. ახმედოვთან (ბულგარეთი), ხოლო ა. დიდოვაროვი (სსრკ) წმინდად მოუგო ლ. ვვატარის (მონგოლეთი).

52 კგ წონაში ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთ წარმომადგენელს მოეცარა ხელი: ა. კაბანაძემ პასიურობისათვის სამი გაფრთხილება მიიღო ლ. თაქანისთან (კუბა) შეხვედრაში და დამარცხდა. გამარჯვებები იხვიებს ქვეყნის ნაკრების კანდიდატებმა ა. შუგაევმა, ტ. ფაშაევი და ტ. შამედოვმა. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ამერიკელი ჯ. მილსმა, მან ვადაზე აღრე დაამარცხა ირანელი მ. ბაზმოვარი.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონის, კიველი ს. ბელოგაზოვისა (57 კგ) და ევროპის ჩემპიონის, მახაჩყალელი ბ. იბრაჰიმოვის ორთაბრძოლაში. საქმე ისაა, რომ ორივე სპორტსმენი აცხადებს რეალურ პრეტენზიას ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად. პირველ და მეორე პერიოდში მეტოქეებმა 2-2 ქულის მოპოვება შეძლეს. ბოლო სამ წუთში იბრაჰიმოვი აქტიურობდა და გამარჯვებაც მას დარჩა. გ. ბაღდასარიანმა (სსრკ) წმინდად დაამარცხა ა. ნიაგუ (რუმინეთი), ს. კარაჩაევი (სსრკ) — ი. როდრიგესი (კუბა), გ. ივანოვი (ბულგარეთი) — ა. მაკოშვილი (ირანი), უ. კამონსმა (კუბა) — ა. მუზიაშვილი (საქართველო).

62 კგ წონით კატეგორიაში პირველი გამარჯვებები ჩაიწერეს აქტიურად ი. სარდანიშვილმა, მ. ხითარიძემ (ორივე — საქართველო), დ. რანდაევი (აშშ) და ს. ხათაგოვმა (სსრკ). გ. კენკაძემ (საქართველო) კარგად დაიწყო შეხვედრა პ. გარანოვისთან (სსრკ), მაგრამ ბოლო პერიოდში დაღლილობა დაეტყო და ქულებით დამარცხდა.

ჰიდაობის ქართველ გულშემატკივრებს, ბუნებრივია, პირველ ყოვლისა თანამემამულეთა გამოსვლა ინტერესებდათ. მართალია, დაბალ წონითს კატეგორიებში ჩვენმა მოქიდავეებმა მთელი ძალით ვერ იასპარეზეს, მაგრამ შემდეგ და შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. დ. გიგაურმა (68 კგ) წმინდად დაამარცხა ლ. ნემა (მონგოლეთი), გ. მაკასარაშვილმა ასევე წმინდად მოუგო კ. ჯანაის (ირანი), ხოლო თ. საჯიამი 4 კულებით აჯობა დ. შულერს (აშშ).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, მოსკოველი პ. პინაივისა (68 კგ) და თბილისელი გ. კულტარაშვილის ორთაბრძოლა. ბუნებრივია, გამარჯვებას პინაივის უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. ქართველმა ფალავანმა ფიცხელი ბრძოლა გაუმართა გამოცდილ მეტოქეს და შთაბეჭდილი გამარჯვება მოიპოვა. ამავე წონაში შარშანდელ ტურნირში გამარჯვებულმა მახაჩყალელმა ს. აფსაიდოვმა ქულებით დაამარცხა ბ. ბუდაევი (სსრკ).

74 კგ წონით კატეგორიაში წილისყამ პირველსავე წრეში ბიო ფაგორტი — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ორჯონიძეთელი ე. კორაევი და სპორტის დამსახურებული ოსტატი, მახაჩყალელი რ. აშურაღიევი დააწყვილა. ქულებით გაიმარჯვა კორაევი. ო. კაჭაშივლმა დაამარცხა თ. გაბოძე (ორივე — საქართველო), მ. აბდულმუსლიმოვი (სსრკ) — რ. შაბიგასი (პოლონეთი), პ. მარტამ (სსრკ) — კ. კანდელარი (კუბა).

გულში საღამოს ასპარეზობაში ჩაებნენ მე-2 საშუალო, ქვემძიმე და მძიმე წონის მოქიდავეები.

ა. ბერიშვილი.

ნაკრები თანდათან იზსება

ლიაპ-პლანის თამაშებისთვის ფინეთის ნაკრების მორიგი შესარჩევი შეჯიბრებები სამ დღეს გრძელდებოდა ამ ქვეყნის სხვადასხვა მხარეზე. განსაკუთრებით საინტერესო იყო მოთხილამურეთა ტურნირი მიცილის მახლობლად. გუდა 15 კმ რბოლაში 140-ზე მეტი სპორტსმენი ჩაება. ტოლი არ ჰყავდა ი. მიეტოს — 46.22.

წლევანდელი სეზონის აღმოჩენა, 22 წლის კ. პარკონენი მეორე იყო — 46.50. მან გამოიცილა პ. კირკენსიემს ფინეთთან წამით მისწრო.

30 კილომეტრზე რბენაც მიეტოს უპირატესობით ჩატარდა — 1:26.44. მან II ადგილზე გასულ კირკენსიემს 43 წამით აჯობა. აქვე ქალთა შორის 5 კილო-

მეტრზე ბადალი არ ჰყავდა პ. რიპიურს — 18.41. ოლიმპიური ჩემპიონი პ. ტაკალი II ადგილს დასჯერდა. I და II ადგილები ამავე თანმიმდევრობით განწილდა 10 კილომეტრზე რბოლაშიც, სადაც მესამე იყო მ. თინენი.

ამ შეჯიბრების შემდეგ ოლიმპიურ გუნდში წევრებად ჩაირიცხებნენ ტაკალი და რიპიურთა. ეკუთვნის ლეიპ-პლანის საზღვრები მიიღეს მიეტომ და კირკენსი-

ეფაღაზიან მოსკოვის ოლიმპიადისთვის

ზინაზურთი ფინალისკაჟი სნოხილია

ბულგარეთის ქალაქებში და მთავრად XXII ოლიმპიური თამაშების ფრენბორთელთა ტურნირის წინასწარი შეხვედრები, რომლებსაც მოსკოვის ოლიმპიადის 3 საზღვრის მფლობელები უნდა დაესახელებინა. ქალთა შეჯიბრებაში რუმინელებმა ბოლო ტურში (პაზარჯიკში) დაამარცხეს ბრაზილიელები — 3:0 და ერთადერთ საზღვრს დაეპარტონენ. ბულგარელებმა, თუმცა იმდენივე ქულა მოაგროვეს რამდენიც რუმინელებმა (მათ ბოლო შეხვედრა მოუგეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფრენბორთელებს — 3:1), მაგრამ პარტიების უარესი შეფარდების გამო ისინი მოსკოვის ოლიმპიადის მიღმა დარჩნენ.

ფხზურთი შესარჩევ ტურნირზე

აგოგა. კოლუმბიაში სტარტი აიღო სამხრეთ ამერიკის ქვეყნების 7 ნაკრები გუნდის ოლიმპიურმა შესარჩევმა ტურნირმა. აქ უნდა გათამაშდეს 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ფინალის 2 საზღვრი.

მასპინძლებმა — კოლუმბიელებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს პერუს ნაკრები, ამასთან ორივე ბურთი გაიტანა კარლონმა.

კალიში თამაშობდნენ ბრაზილიისა და ვენესუელის გუნდები. გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა — 2:1, რომელთაგან თავი გამოიჩინა სილვამ: მან მატჩის პირველივე წუთებზე 2 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. ბრაზილიელთა თამაშმა საყოველთაო მოწონება ჰპოვა. ამოჰყოფენ მცველ გულ-

როგორც ვიტყობინებოდით, ვაქები სოფიასა და პერნაში ებრძოდნენ ერთმანეთს ფინალის ორ-ორი საზღვრისთვის. სოფიის ჯგუფში ბულგარელებმა მეოთხე გამარჯვება მოიპოვეს — ამჯერად გდრის ნაკრებს მოუგეს — 3:1 და ფინალში გავიდნენ. ამ ჯგუფიდან მეორე ფინალისტი აშშ-ს ნაკრები, რომელმაც დაამარცხა კანადის გუნდი — 3:0.

ფინალურ ოთხეულში შევიდნენ, აგრეთვე, რუმინეთისა და სამხრეთ კორეის ფრენბორთელები, რომლებმაც პერნაში გაიმარჯვეს. ბოლო ტურში რუმინელებმა სწორედ სამხრეთ კორეის სპორტსმენებს სძლიეს — 3:0.

დღეს და ხვალ 4 უძლიერესი კოლექტივი გაითამაშებს იმ ორ საზღვრს, რომლებიც მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლის უფლებას იძლევა.

ვანს პორტუ-ალეგრის „ინტერნაციონალდან“ და თავდასხმულ ქორეინოს სან-პაულუს „პალმეირასიდან“.

მოსკოვის ფინალური თამაშების პრეტენდენტთა შორის არის არგენტინის ოლიმპიური ნაკრებიც. კოლუმბიაში გამგზავრების წინ არგენტინელებმა ბუნეს-აირესში ითამაშეს უნგრეთის „პონველთან“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნების წინასაოლიმპიადო შესარჩევი ტურნირის გახსნას ესწრებოდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ე. აველანევი. გათამაშება გასტანს თებერვლის შუა რიცხვებამდე.

„მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრება 70-მეტრიან ტრამპლინზე. ჩემპიონი გახდა ოლიმპიური ნაკრების ერთ-ერთი კანდიდატი ი. ტერმიაენი — 250 ქულა (ნახტომები 87 და 83,5 მეტრი). „ოთხი ტრამპლინის“ ტრადიციულ ტურნირში შარშან გამარჯვებული პ. კოკონენი მესამე იყო. მას აჯობა, აგრეთვე, ი. პუიკონენმა — 242,4 ქულა.



სსრ კავშირი
47-ე ჩიკვაძის ქუჩა

მიტხარი, როგორი ცენტრი გყავს...

კაუნასი. „სპორტპალეს“ დარბაზი. 28 იანვარი.

„დინამო“ (თბილისი) — ვეფი (რეაგ) 76:74 (42:30).

„დინამო“: ვ. ძიძიგური (8), ბიჭიაშვილი (18), ჩიხლაძე (8), 15. ქორქია (17), დერიუგინი (19), გულდელავა, პულაფსკი (7), სინჯარაძე (4).

ვეფი: ზვანისი (2), კალნიშვილი (2), ნაზაროვი (12), ვალტერისი (22), ვეფიურსი (12), ვისოცკისი (2), ბირნივეცი (22).

მსაჯები: ხ. კაპიტონოვი (კიევი), გ. ბაბუშკინი (ხარკოვი).

ცხენთა შეჯიბრებაში არის ტურნირი „განდიკაპი“ — როცა ერთი მხედარი სტარტზე გარკვეულ უპირატესობას აძლევს მეორეს

და მხოლოდ ამის შემდეგ ებმება ასპარეზობაში. თავისებურად „განდიკაპს“ წააგავდა „დინამოსა“ და ვეფის მატჩის დასაწყისი. ვეფიურსის, ვალტერისის, კალნიშვილისა და ვისოცკისის ზუსტი ტყორცენები და რიგელები დაწინაურდნენ — 8:0. დინამოელებმა რამდენჯერმე მისცეს ზუსტი საპასუხო სროლის საშუალება ბიჭიაშვილს, მაგრამ... ბოლოს მონდომებამ თავისი ქნა. ბიჭიაშვილი ათავსებს ბურთს კალათში. შემდეგ ნოდარ ქორქიას 3 ქულა და ამასობაში დერიუგინიც ამოქმედდა. რიგელები ცდას არ აკლებდნენ და საიმედოდ კეტავენ თბილისელთა ცენტრს. თამაშს თავის თავზე იღებს გამოცდილი პულაფსკი. შუა ტაიმში წინ თბილისელები გადიან, მაგრამ პულაფსკი 4 საჯარომოს იღებს და მწვრთნელი იძულებულია მის ნაცვლად სინჯარაძე შემოიყვანოს მოედანზე. ახალგაზრდა კალათბურთელი სუიმედოდ მოქმედებს ფარქვეშ, ზუსტად ტყორცნის. ტაიმის ბოლოს ჩიხლაძე ახლებდა ვ. ძიძიგურმა შეცვალა. თამაშის შემდეგ ლ. მოსევილიმ განაცხადა: „ახალგაზრდების თამაშით კმაყოფილი ვარ, ეს მწვრთნელისთვის დიდი სიხარულია“.

ტაიმი თბილისელებმა 12 ქულით მოიგეს — 42:30.

მეორე ტაიმის დასაწყისში დინამოელები 16 ქულით გადიან წინ, შემდეგ ოდნავ აღუდგნენ ყურადღებას და მკაცრად იყვანებან. ქულათა სოლიდური მარაგი მინიმუმამდე დადის. გათამაშდნენ რიგელთა ლიდერები — ვეფიურსი, კალნიშვილი, ვისოცკი. მისი თითქმის ყველა ნასროლი ბურთი მიზანს აღწევს. ახლა სათამაშო უპირატესობას ლტოვილი კალათბურთელები ფლობენ.

საერთოდ, რაც არ უნდა უჭირდეთ თბილისელებს, თუ მათ ცენტრის დერიუგინს პერსონალუ-

რი საჭარბოებში არ ბოჭავს, ისიც და გუნდიც დაჯერებულად მოქმედებენ. ასეა ამჯერადაც. დერიუგინი ერთადერთი პერსონალური შეზღვევით სკამიდან ლაღად გრძნობს თავს. დინამოელები შეტევის დაგვირგვინებას მხოლოდ მას ანდობენ. თბილისელთა ცენტრალური თავდასხმელი მოწოდების სიმალღებზეა — თბილი ზუსტი ტყორცნა და მსაჯის საფინანსო სასტრეგენმა „დინამოს“ გამარჯვება აღნიშნა.

მასხედებმა გილინუისის „სტატი-ბას“ მწვრთნელის მოსწრებულად ნათქვამი: „მიტხარი, როგორი ცენტრი გყავს და გეტყვი, როგორია შენი გუნდი“.

ხასიათი ურვენეს

კაუნასი. „სპორტპალეს“ დარბაზი. 24 იანვარი.

„დინამო“ (თბილისი) — „სტრო-იტელი“ (კიევი) 74:73 (47:31).

„დინამო“: ი. ძიძიგური (2), ბორჯენაძე (9), ვ. ძიძიგური (2), ბიჭიაშვილი (22), ჩიხლაძე (12), ნ. ქორქია (8), დერიუგინი (15), გულდელავა, პულაფსკი (6).

„სტროიტელი“: კოუელიანკო (17), მარტინოვი (7), კოლუშუი (14), სმოლიაკოვი (10), რიუი (8), კრუანოვი (8), ბრატიჩუკი (4), შევჩენკო (8), შაბალა (7).

მსაჯები: ა. ავაფონოვი (ტალინი), ვ. ჩერნომაზოვი (ლენინგრადი).

კაუნასის ტურის თბილისელთა მესამე მატჩი ტყუპისცალივით ჰგავდა წინა ორს. „დინამომ“ ისევ ერთი ქულით მოიგო შეხვედრა. არადა, ამ მატჩში იყო მომენტები, როცა გუნდი 18 ქულით დაწინაურდა. რატომაც ასე დაეხდნენ თბილისელებს: ისინი სოლიდური მარაგით გადიან წინ და შემდეგ შე-

ტევენ საშუალებას აძლევენ შეამცრონ სხვაობა. როგორც ჩანს, თბილისელ სპორტსმენებს გადაუვლით თუ არა სპორტული სიბრძნე, ისინი „ლომბიერნი“ ხდებიან, სპორტს კი ასეთი რამ არ უყვარს. რბილი ხასიათი მართლაც ვერაფერი ბედნაა. ამ სენს, სამწუხაროდ, უკვე საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს.

წინა ორ შეხვედრაში ჩვენი კალათბურთელები თუ უფრო მეტად ლეღავდნენ, სწორედ ამის გამო. მესამე მატჩში მშვიდად იყვნენ მოთამაშებებიც და მწვრთნელებიც. მათ გამარჯვებით სჯეროდათ. შარშანდღის ვერცხლის მედლის მფლობელები, კიეველი კალათბურთელები, დინამოელებთან მატჩამდე თეორიულ შანსს საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში ავიტოვებდნენ ინარჩუნებდნენ და ამიტომაც „სტროიტელმა“ ბოლომდე იბრძოლა. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ დღეწინა 18 ქულით წინ გასულ დინამოელებს. ეს მოხდა II ტაიმის მიწურულს.

თამაში თბილისელებმა ასეთი სასტარტო ხუთეულით დაიწყეს — ჩიხლაძე, ნ. ქორქია, ბიჭიაშვილი, პულაფსკი, დერიუგინი. მატჩის ბოლომდე მოედანზე შეუცვლელად მხოლოდ ბიჭიაშვილი იყო. იგი საერთო აღიარებით მატჩის გმირი გახდა — 22 ქულა შესძინა გუნდს, 6 საჯარომო ესროლა უშეცდომოდ, დაცვაშიც კარგად ითამაშა და მეტოქის ფარდინაც ბევრი ბურთი ჩამოხსნა. არადა, მისი მატჩში მონაწილეობა სათუთო იყო — ფეხი სტიკოდა. მაგალითი გადამღებია, და თანაგუნდელებიც ააყვევენ ვეტერანს.

ახლა თბილისელთა გუნდში ერთი ასეთი „საიდუმლოა“: როცა ლიდერს — დერიუგინს მეტოქეები ფიზიკლად დარაჯობენ, აქცენტი მასზე აქვთ გადატანული, ამ დროს სხვა იღებს თამაშს თავის თავზე და კოლექტივიც ამ ამოცანის გადაჭრას ბიჭიაშვილს ანდობს. არანაკლები დატვირთვა

აქვთ მცველებს — ქორქიასა და ჩიხლაძეს. მათ უნდად ვხვდებით ახალგაზრდა კალათბურთელებს, ლიდ კალათბურთელებს უსინჯავს“ ბოროლად იყვი. იგი ამ მატჩში 5 წუთი იყო მოედანზე და 9 ქულა შესძინა გუნდს, მაგრამ ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ ახლა აქ, კაუნასში დინამოელთა გუნდი შეკრული კოლექტივია, მისი დევიზია ერთი ყველა-სათვის, ყველა ერთისთვის.

როგორც უკვე ვთქვით, „დინამოს“ მცირერიცხოვან მცველებს ძალზე უჭირთ — ტრამპირებუ-ლია ზ. გრძელიძე — მაგარისი — ლ. ორ მატჩში მისი მონაწილეობა სათუთო აღარ არის და საფიქრებელია, რომ ყველაფერი რიგზე იქნება.

ჯ. სვირილი.
(ჩვენი სპეც. კორ.)

კაუნასის ტურის სხვა მატჩები ასე დათავრდა: რტი — „სტატიბა“ 107:77 (53:40). „ჟალი-რისი“ — „სტროიტელი“ 89:75 (46:41), რტი — „ჟალირისი“ 86:84 (49:37), ვეფი — „სტატიბა“ 97:88 (43:40).

ლენინგრადში პირველი ორი ტურის მატჩების შედეგები ასეთია: ცსკა — „დინამო“ (მოსკოვი) 127:102 (62:48), „ლოკომოტივი“ (ნოვოსიბირსკი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 75:107 (39:55), ასკ (კიევი) — „კალევი“ (ტალინი) 87:85 (47:41), ცსკა — „ლოკომოტივი“ 121:59 (51:29), ასკ — „დინამო“ (მოსკოვი) 114:120 (55:65), „კალევი“ — „სპარტაკი“ 82:88 (45:45). სატურნირო ცხრილის სათავეშია ცსკა — 26 ქულა (18 თამაში), თბილისის „დინამოს“ 14 თამაშის შემდეგ 23 ქულა აქვს და მეორე ადგილზე იმყოფება. შემდეგ მოდის „დინამო“ (მოსკოვი) — 22 (18), ასკ (კიევი) — 22 (18), „ჟალირისი“ — 22 (14), „სპარტაკი“ — 21 (18).

მკლავის მკლავი

ს ტ ა რ ტ ზ ე არქივალური იყვანა

თბილისის „განთიადის“ მძლეობის სასახლე სულ ერთი წლისაა, მაგრამ უკვე გაღიქცა საკავშირო ტურნირების ცენტრად: 6 და 7 თებერვალს იგი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების იუნიორთა ზამთრის საკავშირო პირველობას უმასპინძლებს, 23 თებერვალს აქვს ჩატარდება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის იუნიორთა ზამთრის ტრადიციული მატჩი.

ამ დიდ სტარტების წინ სპორტსაზოგადოებები, უწყებები მართავენ თავიანთ პირველობებს. ზოგმა სასაპარეზოდ სწორედ „განთიადის“ სასახლე აირჩია. ერთი ამგვარი შეჯიბრება — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-სახლადო ფლოტის პირველობა აქ გულმინ დათავრდა, მეორე — მშრომთა რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს ტურნირი — დღეს აიღებს სტარტს.

სეზონისთვის მზადების შესახებ თავის დროზე საუბარი გქონდა სასახლის დირექტორთან (დირექტორი გ. აბაიშვილი) და ამის შესახებ გაზეთშიც დაიწერა. მაშინ დაგვარწმუნეს, რომ სტარტებისთვის ყველა ხარვეზი გამო-სწორდებოდა. მართლაც, ბეგრის რამ გაკეთდა, მაგრამ ბეგრის მო-სწორებისთვის დარჩა: სპორტს-მენების, მწვრთნელების, მსაჯე-ბის უწყყოფილებას განსაკუთრებით იწვევს სიცოცხლე. სასაპარე-ზოზე, მოსათელ დარბაზში, ოთხ-ხუთ ტემპერატურა მუდამ 6-7 გრადუსით დაბალია ნორმალურ-ზე. გასახლელებში, სანიტარულ

კაინებში, საშხაბებში უწყისრი-გობაა. კედლის ბლოკი ასპარეზო-ბის დღეებში ამკარად ვერ აუ-დის მოძალებულ მომხმარებ-ლებს...

ახლა ქვეყნის შეიარაღებული ძალების იუნიორთა პირველობის შესახებ. ჩემპიონატში მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ლიგოის, ბალტიისპირეთის, თურქმენეთის, ბელორუსის, ამიერკავკასიისა და სხვა სამხედრო ოლქების იუნი-ორთა ნაკრები გუნდები მონა-წილეობდნენ. კარგად გამოვიდნენ ბელორუსის სამხედრო ოლქის სპორტსმენები და სამლიან ბრძოლაში გუნდური პირველობა მოიგეს. დასამასპინძლებელი იყო სიმალღებზე ხტომაში ვაჟების შე-ჯიბრება. რიგითმა ვ. ერგარდტმა 212 სმ სიმალღე გადალახა და ჩემპიონი გახდა. თბილისელი გ. საჩხენკო, რომელიც უკონკურ-სოდ გამოდიოდა, მას 3 სმ-ით ჩამორჩა. II ადგილი მიეკუთვნა რიგით რ. მიაგის — 203 სმ. ტო-კით ხტომა მოიგო კიეველმა რი-გითმა ა. კიევიძემ — 480 სმ. 10 კილომეტრზე სპორტულ სიარუ-ლში მინსკელებმა პ. კახნოვიჩმა (45,18,0) და ვ. სონინმა (46,12,0) I და III ადგილები დაიკავეს და ერთად თავის გუნდს 31 ქულა შესძინეს. II ადგილი ერგო კარ-პატისპირეთის სამხედრო ოლქის სპორტკლუბის წევრს ი. დობრა-ნსკის — 45,25,0. ბელორუსის სამხედრო ოლქის გუნდის აქტი-ვში გამარჯვებით 18-18 ქულა

შეიტანეს: 1500 მეტრზე წინა-ღებით რბენაში — ს. ბაღდასარი-ანმა — 4.12,5, 60 მეტრზე ასპარე-ზობაში — ო. სნიგოვსკიმ — 6,9 და სხვებმა.

გოგონათაგან აღსანიშნავია 60 მეტრზე რბენაში ტ. ზავიალოვას შედეგი — 7,4. ბალტიისპირე-თის სამხედრო ოლქის გუნდის წევრმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდა-ტის ნორმატივი. სიმალღეზე ხტომაში ასევე პირველად შესწ-ვიდა ამ ნორმატივის ა. დემოვანი (172 სმ).

ტურნირის მესამე დღეს მასპი-ნდობა — ამიერკავკასიის სამხე-დრო ოლქის სპორტსმენებაც გამოიჩინეს თავი. ჯერ იყო და რიგითმა ვ. ალექსანინმა მოიგო 1500 მეტრზე — ასპარეზობა — 3.56,3, ხოლო შემდეგ სამხტომში ამ სამხედრო ოლქის სპორტსმენებ-მა ექვეყნულში სამი ადგილი და-იკავეს, რითაც თავიანთ კოლექ-ტივს 39 ქულა მოუტანეს. აქ უძლიერესი იყო თბილისელი ს. ახვლედიანი, რომელიც 15,69 მე-ტრზე გადახტა. ეს შედეგი 7 სა-ნტიმეტრით ჩამორჩება — მისსავე საკავშირო რეკორდს ჰაბუკთა შორის.

საბოლოოდ ამიერკავკასიის სა-მხედრო ოლქის ორდმა 141,5 ქუ-ლა მოაგროვა, 51,5 ქულით ჩა-მორჩა ბელორუსის სამხედრო ოლქის ნაკრებს და X ადგილი დაიკავა.

* * *

ს უ რ ა თ ე ზ ე : 400 მეტრზე გოგონათა ერთ-ერთი ვარბენი; მსაჯები წყვეტენ სადავო სა-კითხს.

ჯ. ლომიძის ფოტოები.

ზალრაკი

ბამარჯვების გზით

სპარაში (შვეიცია) ევროპის გუნდურ ჩემპიონატში გაიმართა კიდევ ორი (IV, V) ტურის შეხ-ვედრები.

IV ტურში საბჭოთა მოჭადრა-კეთა მეტოქე ბულგარეთის ნაკ-რები იყო. მსოფლიო ჩემპიონი ა. კარბოვი შეხვდა დიდოსტატ ე. ენმარკოვს. მწვერი თამაში ყოიმი-თ დამთავრდა მხოლოდ მეორე დღეს. ასევე ყოიმი დასჯერდნენ: ტ. პე-ტროსიანი დიდოსტატ გ. ტრინ-გოვთან, ო. პოლუგაევსკი — დი-დოსტატ ი. რაულოვთან და რ. ვაპანიანი — დიდოსტატ ლ. პო-სტოან.

სსრ კავშირის ჩემპიონმა ე. გელერმა სძლია დიდოსტატ ნ. კი-როვს, ი. ბალაშოვმა — საერთა-შორისო ოსტატ გ. ინკევს. საბ-ჭოთა გუნდის სათადარიგო მო-თამაშებმა 20 წლის ა. იუსუპო-ვი და 17 წლის გ. კასპაროვი შე-ხვდნენ დიდოსტატებს ლ. სპასო-ვსა და ნ. სპირიდონოვს. იუსუ-პოვმა მეტოქეს მრავალფერუ-რიან ენდშილობა აჯობა, კასპა-როვმა — შუა თამაშში.

6:2 — ასე დასრულდა მატჩი საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ. დანარჩენი შეხვედრების შედე-გებია: უნგრეთი — ჩეხოსლოვა-კია 3,5:3,5 (1), შვეიცია — იუგო-სლავია 2,5:3,5 (2), ინგლისი — ისრაელი 3:2 (3).

V ტურში სსრ კავშირ — ჩეხო-სლოვაკიის გუნდების შეხვედრა-ში გაიმარჯვეს ჩვენი თანამე-მულეებმა — 5,5:2,5. გუნდს

თითო ქულა შესძინეს პოლუგა-ევსკიმ, ო. რომანიშინმა და კას-პაროვმა. ყოიმი დაასრულეს პა-რტივი მ. ტალმა (I დაფაზე ე. პორტან), პეტროსიანმა, ბალა-შოვმა, გელერმა და იუსუპოვმა. კარბოვი ამ დღეს ისვენებდა.

სხვა მატჩები ასე დასრულდა: ბულგარეთი — შვეიცია 3:3 (2), იუგოსლავია — ინგლისი 1:3 (4), ისრაელი — უნგრეთი 2:1 (5).

6 ტურის შემდეგ ლიდრობდნენ სსრ კავშირისა (25,5 ქულა) და იუგოსლავიის — (20,5) გუნდები, ისრაელს აქვს 18 (1), ინგლისს — 18 (4), უნგრეთს 17 (5).

გუნდის VI ტურში სსრ კავ-შირისა და ისრაელის გუნდების შეხვედრა შეწყდა ანგარიშზე 3:1 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარ-გებლოდ. გაიმარჯვეს გელერმა და პოლუგაევსკიმ, ხოლო ტალმა პა-რტია ყოიმი დაამთავრა.

ამრიგად, ლიდრობენ საბჭოთა დიდოსტატები — 28,5 ქულა და 4 გადაღებული პარტია. 23,5 (4) ქულა აქვს იუგოსლავიის ნაკრებს, რომელიც სასტიკად დამარცხდა (1:6) ინგლისის გუნდთან. VI ტუ-რში კი უნგრელებთან იუგოსლა-ვიელთა შეხვედრის ანგარიშია 2,5:2,5 (3).

ლიდერთა ჯგუფში არიან, აგ-რეთი, ინგლისი — 22 (7), ის-რაელი — 21,5 (5), უნგრეთი — 21,5 (4).

დასკვნითს რურში საბჭოთა გუნდის მეტოქეა იუგოსლავიის ნაკრები.

ცენტრალური საბჭოს ნაპარაკი

ამ დღეებში დონის როსტოვიში გაიმართა „სპარტაკის“ ცენტრალ-ური საბჭოს იუნიორთა ზამთრ-ის შეჯიბრება, რომელშიც 1961-62 წლებში დაბადებული მძლეო-სნები მონაწილეობდნენ.

საქართველოს კოლექტივი, რო-მელიც II ჯგუფში ასპარეზობდა, ქულით ჩამორჩა უზბეკეთის ნაკ-რებს და 8 კოლექტივის შორის II ადგილი დაიკავა. III ადგილ-ზე გაიდა ყაზახეთის გუნდი.

პირად პირველობაში გ. კოს-ტინმა 60 (8,6 წამი) და 110 მეტ-რზე თარბრენში (16,5) მეორე

ადგილები მოიპოვა. ბირთვის კვარის მესამე პრიზიორი გახდა ლომჯარია — 14.86 მ. დ. კუ-ანოვი (სიმალღეზე ხტომა, 195 სმ) და ვ. ივანოვი (სიგრძეზე ხტომა, 658 სმ) მეოთხე ადგილ-ებზე გაივდნენ.

კოსტინი და ლომჯარია შეყე-ვილი არიან ცენტრალური საბ-ჭოს ნაკრებში, რომელიც 6-7 თებერვალს თბილისში გამართულ იუნიორთა საკავშირო ზამთრის პირველობაში მიიღებს მონაწი-ლეობას.

ჭ. ჯიგუშაძე.



პანორამა

პრიზი სსრკ - აშშ

„მოხარული ვართ, რომ ორი ჩვენი მოკრივეთა ტრადიციული მატჩები, რომლებიც 1969 წლიდან ტარდება, გაგრძელდება ოლიმპიურ წელსაც“ — განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში აშშ-ის ნაკრები გუნდის ხელმძღვანელმა დ. სიმპსონმა. ამერიკელთა ნაკრებში, რომელიც 23 იანვარს ჩამოვიდა მოსკოვში, 15 მოკრივეა. მათგან

მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ე. გრინი (67 კგ) უკვე გამოდიოდა საბჭოთა კავშირში 1979 წელს. სპორტსმენთა საშუალო ასაკია დაახლოებით 20 წელი, ხოლო ორნი — რ. შანონი (48 კგ) და ლ. ეპსი (81 კგ) 1962 წელს არიან დაბადებული. გუნდის ყოველი წევრი ოლიმპიური ნაკრების კანდიდატად ითვლება. — მიუხედავად სიახლგაზრდავისა, ვფიქრობ, ჩვენი ბიჭები კარგად გამოვლენ, — აღნიშნა სიმპსონმა.

აშშ-ის ნაკრების ხელმძღვანელმა დაუმატა, რომ ეროვნულ ფედერაციის თანაბარი ძალის ხუთი ან ექვსი ნაკრები გუნდის გამოყვანა შეუძლია, ისინი სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღებენ მონაწილეობას, ხოლო მათ შორის საუკეთესონი გა-

ზაფხულის დამლეტს ოლიმპიური ნაკრების ძირითად ბირთვს შეადგენენ.

ნაკრები დედა, რომ ამერიკელი მოკრივეები დღეს გამოვლენ მოსკოვში, 30 იანვარს თბილისში, ხოლო 2 თებერვალს — ვილნიუსში.

სსრ კავშირის ნაკრების ხელმძღვანელმა ა. კისელიძემ დაასახელა მოკრივეები, რომლებიც პირველ მატჩში გამოვლენ: ა. საფინი, ა. მიხაილოვი, ს. ხაჩატრიანი, ვ. რიბაკოვი, ი. პრახოროვი, ს. კონაქბაევი, ა. კოშკინი, რ. ფილიმონოვი, ე. საჩინჯაო, ნ. ეროვოვი, ა. იაგუბკინი.

ნაკრების დებიუტანტები არიან 20 წლის კურგანელი ფილიმონოვი, 18 წლის დონეცკელი იაგუბკინი და 22 წლის გროდნოელი პრახოროვი.



საბჭოთა ფეხბურთელთა მიტოქე

გამოვლინდა სსრ კავშირის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მართლვე ევროპის ჩემპიონატის მეთხედფინალში. ესაა იტალიის ნაკრები.

იტალიელებმა ამ დღეებში რომში მიიღეს ლუქსემბურგის ნაკრები, დაამარცხეს იგი ანგარიშით 1:0 (გოლი 78-ე წუთზე გაიტანა „ლაციოსა“ და ოლიმპიური ნაკრების ფორვარდმა ჯორდანომ) და I ადგილი დაიკავეს VIII შესარჩევ ჯგუფში. იტალიის ნაკრებმა 4 მატჩში დააგროვა 7 ქულა, მეტოქეთა კარში გაიტანა 5 ბურთი, საკუთარში კი არ მიუღია არც ერთი.

კონტინენტის ჩემპიონატის სხვა მეთხედფინალურ წყვილებს შეადგენენ ჩეხოსლოვაკია — იუგოსლავია, ინგლისი — შოტლანდია, უნგრეთი — გერ.

ესპანეთი — კოლანდია

საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში დიდ ინტერესს იწვევდა ესპანეთისა და პოლანდიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი.

დაძაბული ბრძოლა მოიგეს ესპანელებმა — 1:0.

28 იანვარს მოსკოვში, ცესკ-ს ახალ საფეხბურთო-მძლეოსნურ ოლიმპიურ კომპლექსში დაიწყო „ნედელიას“ ტრადიციული ტურნირი ფეხბურთში. მასში მონაწილეობს 7 საბჭოთა და 3 უცხოური კლუბი.

მოგვიყვანს პირველ შეხვედრათა შედეგები: მტკ (ბუდაპეშტი, უნ-

სამხრეთამერიკალთა გეგმები

წლეულს ევროპას ესტუმრებიან არგენტინისა და ურუგვაის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. არგენტინელები შეხვდებიან ინგლისს, ავსტრიას, შვეიცარიას და ირლანდიის გუნდებს, ხოლო ურუგვაელები იტალიელებს, ლუქსემბურგელებს, ბელგიელებს, შვეიცარიელებს და იუგოსლავიელებს.

ტრაპეზია სტადიონზე

3 გულშემატიკიარი დაიღუპა მას შემდეგ, რაც ინგლისის პირველობის ერთ-ერთ შეხვედრაში „მიდლსბროსა“ და „მანჩესტერ სიტის“ შორის ჩაინგრა ტრიბუნის ერთ-ერთი ნაწილი.

პარიზის დასასრული

ექიმების დაინებული რჩევით ფეხბურთელის კარიერა დაასრულა მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარემ, გფრ-ის კარის

„ნედელიას“ პრიზები

გრეთი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 2:1, „ქაითათი“ (ალმათა) — „აკადემიკი“ (სოფია, ბულგარეთი) 3:2, „ფახთაქორი“ (ტა-

დარაჯმა ზეპ მაიერმა. მან ამ ჩვეყნის ნაკრების ღირსება 95-ჯერ დაიცვა, შარშან 14 იანვარს კი მიიღო სერბოზული ტრავმა, რომელიც ფეხბურთთან მისი გამოთხოვების მიზეზი გახდა.

ფედერაციისა და გულშემატიკების

იმის გამო, რომ ინგლისისა და შოტლანდიის სტადიონებზე ბოლო წლებში ძალზე გახშირდა გულშემატიკიართა თავაშეგებულობა, ამ ორი ჩვეყნის ფეხბურთის ეროვნულმა ფედერაციებმა



შენი) — ოპს (თულუ, ფინეთი) 2:0, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 3:0, მტკ (ბუდაპეშტი) — „ფახთაქორი“ 3:2, „კარპატი“ (ლოვოვი) — „აკადემიკი“ (სოფია) 5:2, „კარპატი“ (ლოვოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 2:0.

უფას-ს ახალი პრეზიდენტი?

გფრ-ის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტმა პერმან ნობერგერმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს მონაწილეობა მიიღოს უფას-ს პრეზიდენტის არჩევნებში. ნაკრები დედა, რომ ახლანდელი პრეზიდენტი არტემო ფრანკი დატოვებს ამ თანამდებობას, რადგანაც მასაც გადაწყვეტილი აქვს თავისი კანდიდატურა წამოაყენოს ფიფას ახალი პრეზიდენტის არჩევნებზე.

ირიბარი კვლავ თამაზობს

ხსენ ირიბარი, რომელიც ევროპის 1964 წლის ჩემპიონის — ესპანეთის ნაკრების კარს იცავდა, კვლავ თამაზობს. ამჟამად იგი 43 წლისაა და პირველი ლიგის კლუბ ბილბაოს „ატლეტიკას“ ღირსებას იცავს.

5 კითხვა 11 „პარსკვლავს“

არპენტიონის სპორტულმა ყურნალმა „ელ გრაფიკომ“ 5-5 კითხვით მიმართა საერთაშორისო ფეხბურთის 11 „უარსკვლავს“. ვეფიქრობთ, ეს „საუბარო“ ჩვენი მკითხველებისთვისაც საინტერესო იქნება.

1. შეადგინეთ მსოფლიოს იდეალური ნაკრები თანამედროვე ფეხბურთელთაგან.

2. დასახელები საუკეთესო მოთამაშე, რომელიც მინდორზე გინახავთ.

3. ვინ მიგაჩნიათ საუკეთესო ფეხბურთელად თქვენს ქვეყანაში?

4. დღეს რომ მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართოს, ვინ გავაფინალში?

5. რომელი მატჩი დაგამახვოვრდათ ყველაზე მეტად?

რუსულ კარში (ამსტერდამის „აიაქსი“ და პოლანდიის ნაკრები):

1. ფილოლი (არგენტინა), ჯენტილე (იტალია), პასარელა (არგენტინა), კროლი (პოლანდია), კაბრინი (იტალია), არდილესი (არგენტინა), ნეესკენსი (პოლანდია), პლატინი (საფრანგეთი), ბერტონი (არგენტინა), როსი (იტალია), კემპესი (არგენტინა); 2. იოპან კრუიფი; 3. ვიმ იანსენი; 4. არგენტინა და პოლანდია; 5. ამსტერდამის „აიაქსი“ — მადრიდის „რეალი“, 1972 წლის ჩემპიონთა თასზე, რომელიც „აიაქსმა“ მოიგო ანგარიშით 2:0.

ზანიშავი პონეპი (ლოძის „ვიქევი“ და პოლონეთის ნაკრები):

1. ლუაო (ბრაზილია), კროლი, ტრეზორი (საფრანგეთი), პეცეი

(ავსტრია), კაბრინი, არდილესი, კივანი (ინგლისი), პლატინი, ასენი (ესპანეთი), როსი, კემპესი; 2. გოუნტერ ნეცერი; 3. გეიგოლ ლატო და ადამ ნავალკა; 4. იტალია და ინგლისი; 5. მატჩი ლოდის „ვიქევისა“ და ინგლისის „მანჩესტერ სიტის“ შორის 1977 წელს უფას-ს თასზე.

ბრუნო პეცეი (მაინის ფრანკფურტის „აინტრაქტი“ და ავსტრიის ნაკრები):

1. კონცილია (ავსტრია), კალცი (გფრ), პასარელა, კროლი, კაბრინი, არდილესი, კივანი, სიმონსენი (დანია), კაუზიო (იტალია), კრანკლი (ავსტრია), როსი; 2. პელე და კრუიფი; 3. პანს კრანკლი; 4. არგენტინა და იტალია; 5. ავსტრია-ინგლისი 4:3, 1979 წელს.

ფრანკო პაუვიო (ტურინის „იუვენტუსი“ და იტალიის ნაკრები):

1. ფილოლი, ტონინო (ბრაზილია), პეცეი, პასარელა, კაბრინი, არდილესი, ბონზოფი (გფრ), კემპესი, ბერტონი, როსი, რენსენბრინკი (პოლანდია); 2. პელე; 3. პაოლო როსი; 4. ერთი აუცილებლად იტალიის ნაკრები იქნება, მეორეს ვერ მოგახსენებთ; 5. იტალია-ინგლისი 2:0, მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩი რომში.

მანფრედ კალცი („პამპურგერ შპორტკლუბი“ და გფრ-ის ნაკრები):

1. კონცილია, კალცი, პეცეი, კროლი, კაბრინი, ბონზოფი, ტრადელი (იტალია), პლატინი, კაუ-

ზიო, როსი, კივანი; 2. პელე, ბობი ჩარლტონი და ფრანკ ბეკენბაუერი; 3. კარლ-ჰაინც რუშენიგე; 4. იტალია და ინგლისი; 5. გფრ-იტალია 2:1 დას. ბერლინში, 1978 წელს.

პაოლო როსი („პერუჯა“ და იტალიის ნაკრები):

1. ფილოლი, ტონინო, პეცეი, პასარელა, კაბრინი, არდილესი, ნეესკენსი, ბონზოფი, კაუზიო, კემპესი, ბეტეგა (იტალია); 2. პელე და კრუიფი; 3. ფრანკო კაუზიო და რობერტო ბეტეგა; 4. იტალია და არგენტინა; 5. იტალია-საფრანგეთი 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატში.

ფრიდლ კონცილია (ბრიუსელის „ანდერლექტი“ და ავსტრიის ნაკრები):

1. ფილოლი, კალცი, პასარელა, კროლი, კაბრინი, არდილესი, კივანი, სიმონსენი, კაუზიო, როსი, კრანკლი; 2. პელე და კრუიფი; 3. პანს კრანკლი; 4. არგენტინა და ინგლისი; 5. გდრ-ავსტრია 1:1, ლიფციგში, 1977 წელს.

მიშელ კალცი („სენტ-ეტიენი“ და საფრანგეთის ნაკრები):

1. პელსტრიომი (შვეიცია), ბრანდისი (პოლანდია), ტრეზორი, პასარელა, კროლი, ბონზოფი, არდილესი, კემპესი, კივანი, როსი, სიმონსენი ან რენსენბრინკი; 2. კრუიფი; 3. მე — პლატინი; 4. არგენტინა და ინგლისი; 5. ფრე ფრანკგესა და ბულგარელებს შორის 1977 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩში.

ხუან მანუელ ასენი („პარსკვლავი“ და ესპანეთის ნაკრები):

1. კონცილია, ტონინო, პეცეი, პასარელა, კროლი, ბონზოფი, ტრადელი, პლატინი, კაუზიო, ტრეჩიკი (უნგრეთი), როსი; 2. პელე, დი სტეფანო, კუმბალა; 3. ამალი; 4. არგენტინა, პოლანდია, გფრ და ჩეხოსლოვაკია გავიდოდნენ ნახევარფინალში; 5. „ბარსელონი“ — მადრიდის „რეალი“ 5:0, 1973 წელს.

არტურო ზიკო (რიო-დე-ჟანეიროს „ფლამენგო“ და ბრაზილიის ნაკრები):

შუსტლს ის გუნდი, რომელმაც 1979 წლის ზაფხულში ბუენოს-აირესში სძლია მსოფლიო ჩემპიონს, არგენტინის ნაკრებს — 2:1: ლუაო, კალცი, პეცეი, კროლი, კაბრინი, ტრადელი, პლატინი, ზიკო, კაუზიო, როსი, ბონეკი. ამას უნდა დაეუმატოთ დიეგო მარადონაც; 2. პელე; 3. ლუაო და სოკრატესი; 4. ბრაზილია და იტალია; 5. ბრაზილია — არგენტინა 2:1, 1976 წელს.

ემილსონ ლეაო (რიო-დე-ჟანეიროს „ვასკო და გამა“ და ბრაზილიის ნაკრები):

1. ის გუნდი, რომელმაც 1979 წლის ზაფხულში ბუენოს-აირესში სძლია არგენტინელებს — 2:1. უნდა დაეუმატოთ კივანი, დალგოში (შოტლანდია), კრანკლი და პასარელა; 2. პელე; 3. ზიკო, ფალკაო, სოკრატესი და ოსკარი; 4. ბრაზილია ასპროცენტინი ფინალსტი იქნებოდა, მეორეს ვერ მოგახსენებთ; 5. ბრაზილია — იტალია 4:1, 1970 წელს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. №14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-50; მასობრივი ფიქსულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჰალრეის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერალების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომცემი — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.